ბრძანება № 1-19

გორი 31 03 2023წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2022 წლის 26 აგვისტოს N1-65 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2022 წლის 26 აგვისტოს N1-65 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების 1-ლი პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ) შუალედური გამოცდები - 01 მაისი, 2023 – 19 მაისი, 2023;".

2. 2023 წლის 15-19 მაისს შუალედური გამოცდები ჩატარდეს სააუდიტორიო მეცადინეობების პარალელურად.

3. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

4. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

6. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი